ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 4-1/2399-13 22 07 2013 წ.

დადგენილება №000232
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

22.07.2013წ. ქ. თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსის მოადგილემ უჩა ზაქაშვილმა განვიხილე 2013 წლის 03 ივნისის №000232 მითითება და 2013 წლის 24 ივნისის №000232 შემოწმების აქტი, შედგენილი **ი.ბ.ა. "ვეზიროვის 16"-ის** (მის: ქ. თბილისი, ვეზიროვის ქ. №16) მიმართ "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ვეზიროვის ქ. №16-ში ი.ბ.ა. "ვეზიროვის 16"-ის მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ №01/3891 22.12.2011წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: „12-1" ფასადზე +23.40 ნიშნულზე, „12-9" მონაკვეთში გაზრდილია საჩრდილობლის სიგრძე, დაახლოებით 7მ-ით, შეცვლილი აქვს ფორმა, ხოლო მის ქვეშ მოწყობილია ლითონის სვეტები. „12-11" მონაკვეთში +16.80 და +20.10 ნიშნულებზე შეცვლილია ფანჯრის ნახატები. +20.10 ნიშნულზე „11-9" მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟის და ფანჯრის ნახატი. „12-11" მონაკვეთში -3.05 ნიშნულზე ჭიშკრის თავზე შემცირებულია რუსტირებული ლესვის სისქე 0.2მ-ით. +20.10 ნიშნულზე „10-9" მონაკვეთში აივნის თავზე არ არის მოწყობილი საჩრდილობელი. +10.15 ნიშნულზე „10-9" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია გამწოვი მილი. „5-4" მონაკვეთში +10.20 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია გამწოვი მილი. +16.80 ნიშნულზე „5-4" მონაკვეთში კაპიტალურ მოაჯირზე არ არის მოწყობილი ლითონის მოაჯირი, ხოლო აივნის თავზე გაზრდილია საჩრდილობლის სიგრძე აივნის კიდემდე. +13.45 ნიშნულზე „3-1" მონაკვეთში აივნის თავზე დამატებით მოწყობილია საჩრდილობელი. +20.10 ნიშნულზე „4-2" მონაკვეთში კარნიზის ბოლოებთან დამატებით მოწყობილია თუნუქით მოპირკეთება. „6-1" მონაკვეთში +22.73 ნიშნულზე სახურავის კიდესთან დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილი და თუნუქის ფურცელი, -3.05

გაიგზავნა ფოსტით 05.08.2013წ.

ნიშნულზე „12-11“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ავტოფარეხში შესასვლელი სლაიდური ტიპის ჭიშკარი, რომელიც გაზრდილია გაბარიტებში კერძოდ სიგანეში 1მ-ით, ხოლო სიმაღლეში მოწყობილია რიგელამდე. „7-6“ მონაკვეთში სეისმური ნაკერი ფასადზე შევსებულია თუნუქის ფურცლებით. „12-7“ მონაკვეთში გადახურვის ტეხვასთან დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილი. ±0.00 ნიშნულზე „6-1“ მონაკვეთში გაუქმებულია კოლონების მოპირკეთება. „ო-ა“ ფასადზე „მ-კ“ მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე ფანჯრებზე დამატებით მოწყობილია გისოსები, ხოლო ფანჯრების ქვეშ დამატებით მოწყობილია ორი სავენტილაციო ღიობი. +6.30 ნიშნულზე, „ლ-კ“ მონაკვეთში ფანჯრის ქვეშ დამატებით მოწყობილია კონდენციონერი, ხოლო „მ-ლ“ მონაკვეთში აივანზე მოწყობილია გამათბობლის ქვაბი. ფასადზე დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილი. „ე-დ“ მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია ორი ფანჯრის ნახატი. „ი-თ“ მონაკვეთში სეისმური ნაკერი შევსებული თუნუქის ფურცლებით. „თ-ზ“ მონაკვეთში +6.30 ნიშნულზე ფანჯარასთან დამატებით მოწყობილია გამწოვი მილი. „ზ-ე“ მონაკვეთში +20.10 ნიშნულზე შეცვლილია ორი ფანჯრის ნახატი. „ე-ე“ ღერძთან დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილი. „თ-ე“ მონაკვეთში +23.40 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟის ნახატი. „მ-ლ“ მონაკვეთში აივნებზე დამატებით მოწყობილია ლითონის სვეტი. „ბ-ა“ მონაკვეთში შენობის მთელ სიმაღლეზე კედელი არ არის შეღებილი განსხვავებულ ფერში. „ბ-ო“ ფასადზე „თ-ი“ მონაკვეთში სეისმური ნაკერი შევსებულია თუნუქის ფურცლებით შენობის მთელ სიმაღლეზე. +10.15 ნიშნულზე „ე-ზ“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კონდენციონერი. +16.75 ნიშნულზე, „კ-ლ“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კონდენციონერი. +20.05 ნიშნულზე „ე-თ“ მონაკვეთში გაზრდილია საჩრდილობელი სიგრძეში „თ-თ“ ღერძამდე. „ე-მ“ მონაკვეთში ცოკოლზე გაუქმებულია რუსტირებული ლესვა. „ე-ზ“ მონაკვეთში მოწყობილია წყალშემკრები მილი. +20.15 ნიშნულზე „ი-ლ“ მონაკვეთში ვიტრაჟში კარს მონაცვლებული აქვს ადგილი. „კ-ლ“ მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე შემცირებულია სადარბაზოში შემავალი კიბის სიგანე. „ე-ზ“ მონაკვეთში +23.35 ნიშნულზე მოაჯირის ნაწილი მოწყობილია კაპიტალურად, ხოლო ვიტრაჟის ნაცვლად მოწყობილია კარ-ფანჯრის ღიობი. -1.50 ნიშნულზე, „ბ-ბ“ ღერძის მარცხნივ კიბის ქვეშ შესრულებულია რუსტირებული ლესვა. „1-12“ ფასადზე +16.75 ნიშნულზე „2-3“ მონაკვეთში საჩრდილობელს მონაცვლებული აქვს ადგილი და მოწყობილია კარნიზის ქვეშ. „4-6“ მონაკვეთში +16.75 ნიშნულზე შეცვლილია ორი ვიტრაჟის ნახატი, ხოლო საჩრდილობელს მონაცვლებული აქვს ადგილი და გაერთიანებულია მეორე საჩრდილობელთან. +20.15 ნიშნულზე „4-5“ მონაკვეთში ვიტრაჟში კარს მონაცვლებული აქვს ადგილი. „6-7“ მონაკვეთში სეისმური ნაკერი შევსებულია თუნუქის ფურცლებით. +20.15 ნიშნულზე „1-2“ მონაკვეთში ვიტრაჟში კარს მონაცვლებული აქვს ადგილი. „2-3“ მონაკვეთში ცოკოლზე არ არის შესრულებული რუსტირებული ლესვა. „9-10“ მონაკვეთში +26.95 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია სახურავზე გამოსასვლელი ღიობი. „8-9“ მონაკვეთში +6.85, +13.45, +16.75 ნიშნულებზე აივნებზე დამატებით მოწყობილია გამათბობლის ქვაბები. „8-9“ მონაკვეთში +17.70 და +21.00 ნიშნულებზე შეცვლილია ფანჯრის ნახატები. „13-14“ მონაკვეთში +10.15 ნიშნულზე ფანჯრებს შორის მოწყობილია სატელიტური თეფში. ფასადებზე ნაცვლად ყავისფრისა მოწყობილია თეთრი ფერის მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები და ვიტრაჟები. +16.80 ნიშნულზე „3-2“ მონაკვეთში არ არის მოწყობილი კიბე. სარდაფის სართულზე -3.05 ნიშნულზე „მ-ლ“ მონაკვეთში გაუქმებულია ლიფტის კარი. „ლ-ლ“ და „კ-კ“ ღერძებზე არსებულ კოლონებს შორის მანძილი შემცირებულია 0.2მ-ით. „9-9“ ღერძზე „კ-ლ“ მონაკვეთში მონოლითური კედლის ნაცვლად მოწყობილია ბლოკით

შევსება. „დ-ბ“ მონაკვეთში არ არის მოწყობილია პანდუსის ნაწილი. „დ-დ“ ღერძზე, „10-9“ მონაკვეთში მონოლითურ კედელში გაუქმებულია კარის ღიობი. I სართულზე ±0.00 ნიშნულზე „1-2“ მონაკვეთში საკომუნიკაციო შახტას მონაცვლებული აქვს ადგილი და მოწყობილია „დ-დ“ და „1-1“ ღერძების კვეთაზე არსებულ კოლონასთან. „9-8“ და „5-4“ მონაკვეთებში „ბ-ბ“ ღერძის გარეთ შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა. შეცვლილია ეზოს მოპირკეთება. „ო-მ“ მონაკვეთში „2-9“ ღერძებს შორის დამატებით მოწყობილია 24მ სიგრძის და 2.5მ სიმაღლის საყრდენი კედელი. სატრანსფორმატორო ტერიტორია შემოსაზღვრულია მავთულბადით. „1-1“ ღერძის მიმდებარედ „ი-ლ“ მონაკვეთში შეცვლილია საპროექტო საყრდენი კედლის ფორმა. „ო-მ“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ტეხილი ფორმის საყრდენი კედელი. სახურავზე შეცვლილია სავენტილაციო შახტის გადახურვები და დამატებით მოწყობილია სატელიტური თეფშები. „ბ-ბ“ ღერძის მიმდებარედ საკადასტრო საზღვრებში შემოჭრილია არსებული შენობა-ნაგებობა. „12-1“ მონაკვეთში „ბ-ბ“ ღერძის გარეთ ბაქნის ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვრებს. (დამკვეთმა ვერ უზრუნველყო ობიექტის სრულყოფილად დათვალიერება, კერძოდ ვერ მოხერხდა +3.60 ნიშნულზე „12-7” მონაკვეთში, +6.90 ნიშნულზე „12-4” მონაკვეთში, +16.80 ნიშნულზე „12-3” მონაკვეთში, +20.10 ნიშნულზე „ლ-ბ” მონაკვეთში, +23.40 და +13.50 ნიშნულებზე ფართების დათვალიერება).

სამსახურის სპეციალისტის მიერ “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის” საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2013 წლის 03 ივნისს შედგენილ იქნა მითითება №000232 რომლითაც მხარეს განესაზღვრა 15 (თხუთმეტი) დღიანი ვადა ობიექტის პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2013 წლის 24 ივნისს “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის” საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000232, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა.

2013 წლის 17 ივლისს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე გამოცხადდა ი.ბ.ა. “ვეზიროვის 16”-ის თავმჯდომარე დავით თუთბერიძე (უკრაინის მოქალაქე, საქართველოში მუდმივი ბინადრობის მოწმობა №01024081531), რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება. მანვე განაცხადა, რომ მიმართული აქვთ ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურისთვის კორექტირებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, ი.ბ.ა. “ვეზიროვის 16”-ის მიერ ჩადენილია “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის” საქართველოს კოდექსის 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის “ა” პუნქტის “ა.გ.” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ვეზიროვის ქ. №16-ში ი.ბ.ა. “ვეზიროვის 16”-ის მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ №01/3891 22.12.2011წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით ”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ”, “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის” საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის “ა” პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე

ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ. ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. ი.ბ.ა. "ვეზიროვის 16" დაჯარიმდეს 4.000 (ოთხიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. ი.ბ.ა. "ვეზიროვის 16"-ს დაევალოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, ი.ბ.ა. "ვეზიროვის 16"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მერიაში (ქ. თბილისში, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
მოადგილე **უ. ზაქაშვილი**